საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 1 ივნისის
დადგენილება № 680

სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინური
კომისიის რეკომენდაციის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის რეკომენდაცია 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის ბოლო ექვსი კვირის მონაცემების განხილვის საფუძველზე პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ დისციპლინური ღონისძიებების (სახდელების) გამოყენების შესახებ (რეკომენდაცია თან ერთვის);
2. გაუქმდეს სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის რეკომენდაცია 2010-2011 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის ბოლო ექვსი კვირის მონაცემების მიხედვით ნატო ჩიკვილაძის, ქეთევან წერეთლისა და ეკატერინე თოფურიას მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესახებ;
3. ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის მონაცემების ანალიზის შედეგები ასახულ იქნეს სახელფასო ანაზღაურების დროს 2012-2013 სასწავლო წლიდან;
4. აღდგენილი საათების შესახებ ანალიზის ინფორმაციის შესაბამისი აღრიცხვა და წარმოდგენა დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს;
5. შეიქმნას გაცდენილი საათების აღდგენის პროცედურის დახვეწის მექანიზმების კომისია;
6. კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს პროფ. შ. ნაჭყებიას;
7. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს სათანადო ბრძანების პროექტის მომზადება

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე